



ნის გლეხებს მმართველობა მისცემს შემწეობას თავის დახსნისათვის. ამითი საქმე გათავდა. ჩვენში მმართველობა არ მიიღებს არავითარ მონაწილეობას გლეხების მიწების შესყიდვაში. ჩვენმა გლეხებმა, როგორც აქამდე, შემდეგშიაც ისე უნდა თითონ იზრუნონ და მოუზრდონ თავის მებატონეებს და გაინთავისუფლონ თავი. რუსეთს უიმისოთაც ბევრი ვალი აწევს და შეუძლებელია, რაიმე შემწეობა აღმოუჩინოს ჩვენებურ გლეხებს. ძარგი იქნება ჩვენებური გლეხები ქორებს არ აწყვენ და, როგორც დღემდე, აწივ ცვადონ თავის მებატონეებს მოუზრდონ და მამულები შეისყიდონ; თორემ რაც ხანი მიდის, მიწა-წყალი უფრო ძვირდება, ფასი ემატება და რაც უფრო დააგვიანებენ, ისე უფრო გაუძნელებათ თავის დახსნა.

შრიგო არ იქნება, პოსტდენიკები და მამასახლისები აუხსნიდენ ამ საგანს გლეხ-კაცებს და ჩააგონებდენ ნებაყოფლობით მებატონეებთან შერიგებას. მომრიგებელ შუამავლები ვალდებული არიან ქორები განფანტონ, საქმის გარემოება კარგათ აუხსნათ, დაეხმარონ გლეხებს.

**ახალი აგებები.**

ჩვენ გვითხრეს, რომ ამას წინათ ოფილისში ჩამოუტანიათ სოხუმდამ ფილოქსერისაგან გაფუჭებული ვაზის ძირები; აქ მცოდნე კაცებს გაუსინჯათ და დარწმუნებულან, რომ ეს მართლა ფილოქსერა არისო.

\* \*

სოფ. ჯიძიაშიდამ (მუთაისის უბნისა) გვეყრენ, რომ ადგილის მღვდელს მ. ა. ნ—ძეს შემდეგი საქმე ჩიუდენია:

ბავლილ ივლისს 30-ს ერთი გლეხი თავის საცოლოთი და მოყვრებით მისულა ამ სოფლის მამვეთის ეკლესიაში ჯვარის დასაწერად, სალამოს 6 საათზე ზემონსენებული

ბადვიდეთ საგამომძიებლო კამერაზე, რომელიც იქ ერთის ყმაწვილის ბატ. ბ—ს ხელშილა დატყვევებულა... შინ არ იცის თუ რა მძლავრი სახსარია საგამომძიებლო ხელმწიფება და სინდისიერი გამოძიება საქმის მმართველ-მსაჯულეებში სიმართლისა და სამართლიანობისათვის. თუ გამოძიება ცოდნით და სინდისიანად არის მოხდენილი სამართლიანობას რჩება გამარჯვება, თუ არა და ბურთს და მოედანს ეპატრონება უსამართლობა, „ბნელეთის ადამიანს“ უდგება მეფეების დრო...

როგორ ასრულებს მოხსენებული საგამომძიებლო კამერა თავის დანიშნულებას?

„ბრალიანს და უბრალოს, ერთნაირად უშვებს თავდებით, ოღონდ კი მათ შეიტანონ საწინდარი, რომლის წარდგენას ავაზაკი და ცუდი კაცი უფრო ახერხებს სხვაზეა.“

ჩვენ ძალიან კარგად გვესმის მნიშ-

მღვდელიც მისულა, სასიძოლეთის მოწმობა გამოურთმევი და შემდეგ შინ წასულა, ცოტა საქმე მაქვს და ახლავ დაებრუნდებო. უცდიათ ერთი საათი, არი, სამი, არ მოსულა. ბოლოს ღამის თორმეტ საათზე გამოუცხადებია, ახლა მარხვა დადგა და თუ ხუთ თუმანს მომცემთ, ცოდვას ვიკისრებ და ჯვარს დაგწერთო, თუ არა და არ შემოძლიანო! რის ვაი-ვაგლახით 25 მანეთზე დაუჯერებიათ. ახლა დიკვანი გამდგარა, მეც მონაწილე ვარ მაგ ცოდვაში და ხუთი მანეთი მაინც მომეცითო. იმისთვისაც სამი მან. მიეცათ და ბოლოს ჯვარის-წერა ღირსებიათ.

\* \*

ჩვენ მივიღეთ შემდეგი შენიშვნა ბ. ზ. შიჭინაძისაგან:

„ერთმა პატივცემულმა ქართულ მწერლობის მოყვარე პირმა იკისრა, გამოსცეს თავის ხარჯით საქართველოს კათოლიკოზის ანტონ პირველისაგან დაწერილი წიგნი „მარტირიკა“, რომელშიაც აწერილია ცხრამეტე ქართველთა ჩინებულთ მქადაგებელთა და მამულის-მოყვარე პირთა მოწამეობის ამბავი.

„მა წიგნი, ანტონ კათოლიკოზისაგან დაწერილს ოცდა-ოთხს თხუთსეულეებში პირველ თხუთსეულეებთან და ჩაითვალოს, და არის ჩვენი ისტორიისა და ლიტერატურისათვის ძვირფასი მასალა. ამისა გამო იმ ქართულ მწერლობის მოყვარე კაცის სახელით მიემართავ საზოგადოებასა და ესთხოვ, რომ, თუ ვისმეს ეს წიგნი მოეძებნება სახლში, ნუ დაუჭერენ ამ კაცს და გამოგზავნონ ქალაქ ობილისს „დროების“ რედაქციაში და ან ჩემი, წიგნის მალაჩიაში.“

**იმერეთის მპარხიის სამღვდლოების კრება მ. მუთაისში.**

თუმცა ცხადს და აშკარა მაგალითებს და დამტკიცებას ვხედავთ ყოველ დღე, რომ სამღვდლოების შე-

ენელობა იმ ჩინებული კანონისა, რომელიც უფლებას აძლევს ბრალდებულს თავდებით თავის დახსნისას საპრობილედამ საქმის სასამართლოში გარჩევად. თავდებით გამოშვებულს ბრალდებულს უფრო შეუძლია ყოველ ნაირი სამართლიანის ღონისძიებით დაიცვას თავი, თანაბრის იარაღით გაუსწორდეს ბრალდებულობას, შეუბღალავის სახელითა და მართლად გამოვიდეს ბრალდებისაგან, და ამ გვარი გამართლებამდი კი თავილამ აიცილოს უღირსოდ დამწყვეტვა „ცოცხალთა სამარეში“...

მაგრამ, როგორც ყველაფერი ჩინებული, ისე ეს კანონიც თუ სიფრთხილით, ცოდნითა და სინდისიანად არ იქმნა მოხმარებული სიკეთის და სამართლიანობის ნაცვლად ის მოიტანს უკეთურობას და უსამართლობასა... თავდებით გამოშვებული ავაზაკი თავის გასამართლებლად, უკეთა ვსთქვით—საქმიდამ გა-

კრებილებას დიდი სარგებლობა მოაქვს მაგრამ მაინც მრავალნი ამტკიცებენ, რომ სამღვდლოების შეკრებილებას არავითარი სარგებლობა არ მოაქვსო! იმანი როგორც უსარგებლო შემოდება უნდა მოისპონო!...

„დროების“ მკითხველმა იცის, რომ იმერეთის სამღვდლოება ამ თვის 23 უნდა შეკრებილიყო მუთაისში, რომელ კრებაზედაც უნდა ჰქონებოდათ მსჯელობა მუთაისში სემინარიის დაარსებაზე და სხვა საგნებზედაც. 1879 წელსა იმერეთის ეპარხიის სამღვდლოების დეპუტატებმა მისცეს უწმინდეს სინოდს თხოვნა, რომლითაც თხოულობდნენ, რომ სამეგრელოს ეპარხიის საეკლესიო მამულების ნაცვლად გამოსული ფული, სახელმწიფო ხაზინიდან, 2,000 მ. ყოველ წლებით შენახულიყოს ხოლმე და ამ ფულებიდან ნახევარი მაინც მოეხმარებინათ სემინარიისათვის, რომლის დასაარსებლათ არც სამღვდლოები ამბობდნენ უარს თავის მხრით ფულის გამოღებაზე. უწმინდესმა სინოდმა საჭიროდ დაინახა სემინარიის დაარსება მუთაისში და მისცა კითხვა სამღვდლოებას თუ რას შესწირვენ ისინი სემინარიის დასაარსებლად თავის საკუთრებისაგან და რა საშუალება არის კიდევ სხვა ამ საგნისათვისვე.

უნდა იცოდეს მკითხველმა, რომ მუთაისში სემინარიის დაარსების ძლიერი წინააღმდეგი იყო განსვენებული ექსარხოსი მესვეი, მაგრამ ბევრი არც ენლა უწყობენ ამ საქმეს ხელს... რისთვის ეს? ღმერთმა უწყოს გონება დაბრმავებული კაცის აზრი!... მაგრამ მადლობა ღმერთს საქმე მშვენიერად წავიდა.

23-ს რიცხვს ყველა დეპუტატები ვერ შეიკრიბნენ. 24 აგვისტოს კი ვარდა ერთი დეპუტატისა, რომელიც ავთ იყო, ყველა მოვიდა ამ უშველებელ სიტყვაში; შეიქნა ლაპარაკი თავსმჯდომარის აღმარჩევაზე.

მრავალი ხმის უმეტესობით თავსმჯდომარეთ არჩიეს კენჭის-ყრით

მოდგრომისათვის „ყოველ-ნაირ სამართლიანს ღონის-ძიებას“ ზედ მიაყოლებს „ყოველ-ნაირ უსამართლო“ საშუალებას—რის მაგალითებსაც ხშირადაც ვხედავთ—და ამ გზით პირს გაუშვებს თემილ-ს, ყინულზედ გააკურებს სამართალს, რომ შემდეგისათვის კიდევ უფრო გაავრცელოს ავაზაკობის, ვერაგობისა და სხვ. მოედანი...

მთქვით, რომელიმე გაფუჭებულს კაცს ღ—ძეს, თუ მ—ძეს ოთხჯერ თუ ხუთჯერ დაუჩხია კაცი. პოლიციისა“ და „სხვა-და-სხვა ვარემოების წყალობით“ მას დაუსჯელად შერჩა ეს ბოროტ-მოქმედება. მიექვსე ვერ ეს კაცი, რომელიც მიჩნია ბოროტისათვის დაუსჯელობას, კი აღარ სჩებს, არამედ ჭკლავს კაცს, ტყუილა-უბრალოდ, მკვლეის ღონისა და ხანჯლის რკინის გამოსაცდელად... რაღაც ბედათ ეს პოლიცია იმდენს ახერხებს, რომ კ-

ბლოლოჩინი მღვდელი ღ. ლამაშიძე და საქმის მწარმოებელი მღვდელი პავლე შაბადაძე. ეს იყო მუთაისისა. ამ დროს ყოველად-სამღვდლო არ იყო მუთაისში. სალამოს მოვიდა ბელათიდან და თავსმჯდომარის დამტკიცების შემდეგ შეკრებილება გაიხსნა სალამოს 6 საათზე. შოვლად-სამღვდლო მობრძანდა შეკრებილებაში და თავისი მშვენიერი წარმოთქმული სიტყვით დაუმტკიცა შეკრებილებას წინანდელი, ეხლანდელი და მომავალი მათი მდგომარეობა და ამასთან მათი საჭიროება. მისცა მათ კურთხევა და შინ წაბრძანდა. ამის შემდეგ თვითონ თავსმჯდომარედაც მიმართა სიტყვით შეკრებილებას და დაანახვა, საუბედუროთ, ისევე ჩვენში მყოფი პირების ბრმა წინააღმდეგი ჰაზრი სემინარიის დაარსებაზე და ვინ არიან ეს პირები, მკითხველო? ძალაქის დიდი დამსახურებული მღვდლები და დეკანოზები! რისთვის შერებიათ ამას? იმისთვის, რომ მათ შეილენი აღარ ჰყავსთ გამოსაზრდელი სემინარიაში; ფულს ნუ დაახარჯვენებ და რაც გინდა ის ქენი. ეს ის პირები განლაგან, რომელნიც ლიბერალობას და ჩემულობენ ვინ იცის კიდევ სხვას რას... მათზე სიტყვას შემდეგისათვის ვსტოვებთ და ეხლა კი ჩვენს საგანს შევუდგებით.

შემდეგ რამოდენიმე ხნის ბაასისა და ლაპარაკისა ერთხმათ გარდასწყვიტეს სამღვდლოების შეკრებილებამ: შეწირვა 333 ათასი მანეთისა, რომლის სარგებელი უნდა მოეხმაროს ხოლმე ყოველ წლივ სემინარიას. შუელი ესე უნდა იქმნეს შეტანილი ნაწილ-ნაწილობით ასე, რომ სანამ ეს თანეი ძირითადი ფონდის ფული არ შეივსება ყოველმა პირმა თავის ჯამავრისაგან ნახევარ-ნახევარი უნდა სტოვოს. ამ წლის 20,000 მან., რომელიც არის დანიშნული და მოსული ის უკლებლად უნდა მიიღონ. ამ ფულის სარგებელი შეადგენს 15,000 მანეთზე მეტს. 8,000 მან. ობილისის

ცის მკვლელს იჭერს და აბარებს ხელში მმართლ-მსაჯულეებს... მეორე დღეს ხედავთ, რომ ის კაცის მკვლელი დიდგულად, ამპარტავენულად დასეირნობს ქალაქში, ქეითობს, ჰყვირის და არდევს „საზოგადოებრივ სიწყნარეს“. ზანა სასურველია ამისთანა კაცების გამოშვება თავდებით?

სასურველია, სანამდის საგამომძიებლო კამერა, ან ოლქის სასამართლო თავდებით გაუშვებდეს ბრალდებულს მანამდი კარგად შეიტყობდნენ მისს ხნეობითს თვისებას და წასრულ ცხოვრების ავ-კარგიანობას და მხოლოდ ამ გვარის ცნობის შემდეგ გამოუშვებდენ ხოლმე მს...



სემინარიაში მიღეს ყოველ წლივ. ეს ფულიც აქ დაბრუნდება; ამასთან სხვა-დასხვა წყაროიდან შემოვა 10,000 მანეთამდე. ამდენი ფულით მშენებ-რად შეიჩანება სემინარია. სახლის ასაშენებელი ფულებიც არის კარგა საქაო.

ამ საქმეში მოდგომას ძმურათ სთხოვს იმერეთის სამღვდლოება სა-მეგრელოს და ბურის სამღვდლოე-ბას და სრული იმედი აქვს რომ, ისი-ნი ამ საქმეში არ უმტყუნებენ იმათ. ძლიერ სასიამოვნო არის, რომ სემა-ნარის დაარსებას თანაუგრძობს ყოველად სამღვდლო ბესარიონი მინ-გრელიის ეპისკოპოსი, ვიკარი იმერე-თისა.

ამ შეკრებილებზევე მისცა წინა-დადება სამღვდლოებას თავსმჯდომა-რემ, რომ შეეწირათ ერთ დროები-თად იმდენი ფული, რომ მისი სა-გებლით ერთი ობოლი ქალი გამოზ-დილიყო. თფილისის საეპარხიო ქალე-ბის სასწავლებელში, ობოლი იმერე-თის ეპარხის სამღვდლოთაგანის. ეს წინა დადება მიიღო კრებამ და შეს-წირეს 1,700 მ. ერთ დროებითად რომლის სარგებელი ზრდის ერთ ქალს. მანხილეს სმეტა სასწავლებ-ლის ხარჯისა მამაალის წლისა და დაამტკიცეს 12,000 მ. ხარჯი. ეს ფულები სულ სამღვდლოების არის.

ასე 24 ამ აგვისტოს იშვა სემინა-რიის დაარსების საქმე ჩვენში.

მწლა ვისურვებთ ჩქარი მსვლელო-ბა მისცემოდეს ამ საქმეს. მისურვებთ, რომ ამ სემინარიაში გამოზრდილი-ყენენ საღვდლო პირები — ჩვენ ქარ-თველებსთვის. მიმოზრდილიყენენ სა-სარგებლო პირები და არა ისეთი როგორისთანა სახელი დაიმსახურეს ჩვენმა „კეთილ მსახურებმა“ ქალაქის მღვდლებმა, ერთ ორიოდემ მაინც.

N. N.

„დროების“ კორუმპსონდენსიები

ზორი, 25 აგვისტო. ამ თვის 21-ს შემთხვევით ჩავედი ზორში და მითხ-რეს დღეს ჩვენი ქალაქის თავის აღ-მორჩევა არისო, უეჭველათ უნდა მოხვიდეთ, რადგანაც ხმოვანი ხარო; რასაკვირველია დავესწარი და ვნახე შემდეგი!

ჩვენმა ქალაქის თავმა ბატ. მლი-მირზომა აგვისტო რამდენიმე სიტყ-ვეთ, როგორი სარგებლობაა ამნი-რი დაწესებულება და აგრეთვე სხვა საგნებიც, და ბოლოს ბრძანა პირვე-ლი აღმორჩევა ქალაქის თავისა იყო მთავრობისგან და ამის შემდეგ გაქვთ უფლება თქვენ, ვინც გსურდეთ ის აღმორჩიოთო. შემდეგ ამ სიტყვისა, აღვინ ხმოვინები; ვიკითხე როგორ არის საქმე ვინ გინდათ, ვინ არა? შევლამ ერთ ხმათ მითხრეს ისევე ბატ. მლიმირზოვი, მეც სასიამოვნოთ მი-ვიღე რადგანაც მათხედ ურიგო არა გამიგონია რა და მართლა როცა ჩა-მატარეს კენჭი, ბ. მლიმირზოვს ოც-და ხუთს კენჭში ამოუვიდა მარტო ორი შავი კენჭი.

მე მხოლოდ იმან ვამაყივარ: ახალ ხმოვანებაში ურევინ ძველნი ხმო-ვანები; ერთი არავენ აღმოჩნდა, რომ მომზადებულიყენენ, ეთქვათ რამდენი-მე სიტყვა მისი ოთხი წლის სამსა-ხურზე ზორის ქალაქისა.

მე ვერ საქმეში არ ვიცნობ არც ვამამიცლია ბატ. მლიმირზოვი, და მახედ არ შემძლია არც კარგი ვსთქვა არც ავი; არცა რა ვამიგონარა, ერ-თი წუნის მეტი ვ. ი. ქალაქის ქუ-ჩების უწესოებაზედ და ურიგოთ შე-ნახებაზედ. მართლათაც, რომ ნახოთ ზორის ქუჩები და უწესოება ბაზრისა მართლ — დამსახურებული საყვიღურია ქალაქის თავზე ეს. ეს ნაკლულევენ-ბა მისათვის არ იქნებოდა დიდი სამ-ძიმო, რომ ბ. მლიმირზოვს შეეძლოს თავის თავს ძალა დაატანოს და ამ სავანშიაც ვამოიჩინოს თავი და დამ-ტკიცოს ყოველ სავანში პატიოსნური მოქმედება და შრომა.

რადგანაც დღეს ჩვენზედ არის და მოკიდებული ზორის ქალაქის ავ-კარგიანობა ამისათვის ვისურვებ, რომ ჩვენმა ქალაქის თვით მმართველობამ თავის ვალდებულობა ასრულოს კარ-გათ და დაუმტკიცოს ქალაქს ერდ-ბულად.

მრთივ უნდა ვთქვათ: ღმერთმა ჰქნას სხვა სიკეთეთ შორის ზორის თვით-მმართველობამ ამ წლის მდგო-მარეობაში ვაკეთოს რიგინათ: ა) დაფასება ზორის სახლებისა და მამუ-ლების და შესაბამი ფასის მომატება; ბ) ზორის ხილეთლებით გამდიდრება და გ) შემადგება ლიხვის ნაპირისა. ეს სამი სავანი უნდა შესრულდეს ამ წელიწადს და რაც უფრო მალე ვა-კეთდება ქალაქისთვის უფრო სასარ-გებლო იქნება.

ნ. დასასმდე

წერილი რედაქტორთან.

ბ. რედაქტორო! თქვენს პატივ-ცემულს „დროებაში“ ხშირად წამი-კითხავს კორრესპონდენციები მუთა-ისის გუბერნიის სხვა-და-სხვა მხრიდან შესახებ იმისა, რომ სოფლებში ვაგრო-ცელებულია სხვა და სხვა ავით-მყო-ფობის ექიმებიო, რომელთაც არა-ვითარი სწავლა და ექიმობაზედ მო-წმობა არ მიუღიათო და ურიგო ექი-მობით ხშირათ კვდებიან ავით-მყოფე-ბიო, თუ გინდ მოსაკვდავიც რომ არ იყოსო. მე დარწმუნებული ვიყავი, მუთაისის მაზრის უფროსი და ექიმი ამისთანა სამწუხარო და მავნებელს გარემოებას, როგორც კორრესპონ-დენტები თხოულობდნენ, ყურადღე-ბას მიაქციდნენ და სოფლებში უმე-ცარი ექიმები, თუ სხვა არავითარი სავანი მოიპოვებოდა მათის ხელობის მოსასპობათ, ქესდაფით მაინც აღარ მოკლავდნენ უბრალო ჭრილობის ავით-მყოფობისაგან საწყალს სოფლის ხალხს. მუთაისის მაზრაში ყურიც არა-ვის გაუბერტყია და ექიმები თავიანთს ხელობას აგრძელებენ და უსიკვდი-ლოს სასიკვდილოთ ხდიან.

მაგალითი რამდენი არის, ამას ვერ მოსთვლით; მაგრამ ერთს სამწუხარო

შემთხვევას, რომელიც მე თვითონ ვარდმოვცეს, კი მოვიხსნობო.

სოფ. ინაშაურს, ზორის საზოგა-დოებისა, მუთაისის მაზრისა გლეხმა აღმასხან მახუაშვილმა მიწის ხენის დროს შიშველი ფენა დაჰკრა თურმე სიმინდის ჩაღის ძირს და ცოტა ჭრი-ლობა მიიღო. იმ წამსვე გამოუჩნდნენ რამდენიმე სოფლის ექიმები, მაგრამ ვერც-ერთმა ფენის გულიდამ ჩაღის ქაცვი ვერ ამოიღეს. მრთმა იმ ექიმ-თაგანმა მრმალოზ სენაიძემ დაიკვება თურმე მე მოვარჩინო და ჩაასხა რამ-დენიმე წვეთი ქესდაფისა ვაჭრილს ხორცში. რასაკვირველია, ფენი (მუხ-ლის ქვევით) ერბაშათ დასწვა და გლეხი ბ. მახუაშვილი ცოტა ხნის განმავლობაში მოკვდა. ღარჩა წერი-ლი ცოლმეილი, რომლის მიმხედავი და პატრონი ღმერთის მეტი კაცი არ არის.

დასაჯერებელი არ არის, ბ. რე-დაქტორო, რომ მუთაისის მაზრის უფროსმა ყურად-ღება არ მიაქციოს ამ საქმეს და პასუხის-გებაში არ მისცეს ქესდაფით კაცის მკვლელი. ბრც ის არის დასაჯერებელი, რომ სანამ მიწათ იქცეოდეს აგვისტოს თვე-ში მკვდარი, არ გასინჯონ — თუ რით მომკვდარა გლეხი მახუაშვილი.

ქ. ქუთიისს, 27 აგვისტო.

ბ. რედაქტორო! თქვენ-მიერ ვა-მოცემულს 5 ამა აგვისტოს „დროე-ბის“ № 163-ს, პასუხად გაუწყებთ, რომელ მცხეთის სვეტის-ცხოველს ეკვლესიის ვალოვანში, რომელიც შეიცავს თითქმის ოთხ დღიურ აღ-გილოს, სადაცა ცხოვრებენ სხვა-და-სხვა კერძობითნი მოსაკუთრენი პირნი, არავენ უთხრია ჯურღმული ფენის ადგილისთვის; მაშასადამე, მას შინა-ძვირფასეულობის თვალ-მარგალიტისა და ოქროსი ჰპოვა სრულიად ცილის-წამება არის, იმა-თის, მხრ-თ რომელთაც ვარდმოვცესთ თქვენ ეს ამბავი დასაბეჭდათ.

იმას უნდა სცოდნიყო რომ ჯურ-ღმული ამოვხარეთ ვალაენის ვა-რეთ და მასში ვიპოვეთ: ექვსი ალა-მიანის ხელის მსგავსი ოქროს ფურ-ცვლნი, რომელნიც ერთი მისხლის მეოცედს ძლივ აიწონიან ერთი ახა-ლი მთვარის მსგავსი რალაცა შავი მეტალოის ნაფით, ოქროს ვარსკვლა-ვებით და ზედ ამოჭრილის კაციო, რომელსაც ხელში შუბი უჭირავს. ამის ვარდა კიდევ ნამტვრევები თი-ხის ქურჭლისა.

ის კაცი თუ ყურებ და თვალე-ბოკლებული არ ყოფილიყო, ვერ გაბედავდა იგრე ცილი დაეწამა ჩვენ-თვის, როგორც „დროების“ № 163-ში; როგორ ვაგებდავდით და მოვა-ხერხებდით იმდენ განძეულის და-პარვას, შეძინებას, როდესაც იმ ჯურ-ღმულს გარს ერტყა არა ერთი კაცი, არამედ მთელი მცხეთის მოსახლობა დილით პატარამდის? იმდენ ხალხში, როგორ ერთმაც ვერ დაინახა იმდენი განძეული, ძვირფასეულობა, ვარ-

ნა იმ პატივ-ცემულ პირსა, რომელ-მაც ვარდმოვცათ თქვენს კომპიუტერს.

ბოლოს ვიტყვი, რომ ტყუილს თუ მოკლე ფენები არა აქვს, დრო, მხო-ლოდ დრო გვიჩვენებს, თუ ვინ სტყუის. ჯერეთ კი მე დავსძინებ ყველა თქმულს, რომ აკლდამაში (ჯურღმულში) ნაპოვნი ნივთები ავ-წონეთ იმავე წამს და ეკვლესიის სა-მალავში შევიჩანეთ. ამ დღეებში კი ისინი წარედგინება არხეოლოგიურ კამიტეტის თავსმჯდომარეს ღენერალს ძამაროვს მეცნიერ არხეოლოღოსთა კრების განსახილველად.

მცხეთის სობორას დეკანოზი რამანოზ მრეკვიშვილი.  
სოფ. მცხეთა,  
20 აგვისტო.

თფილისის სამკურნალო

ავათმეოფები მიიღებინ დიღის რვა საათიდან თორმეტ საათამდის.

ო მ შ ა ბ ა თ ს. ვარსკვლავი და ლი-სიტევი — შინაგან ავათმეოფობისა; კელ-დიში სიფილისტიკური და სირურგიული ავათმეოფობისა; ბასუტავი — ბუბიაობის, ქა-ლეების და უმწვილეების ავათმეოფობი-სა; ბასავეი ძარღვების სისუსტის და ში-ნაგან ავათმეოფობისა.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს. მინკევიჩი — სირურ-გიული ავათმეოფობისა; ლისიტევი — შინაგან ავათმეოფობისა; კელდიში — სი-ფილისტიკური და სირურგიული ავათ-მეოფობისა; ბასუტავი — ბუბიაობის, ქა-ლეების და უმწვილეების ავათმეოფობისა; ბასავეი და დანიელ-ბუგავი — ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმეოფობისა.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ს. ლისიტევი და მი-რამანოვი შინაგან ავათმეოფობისა; კელ-დიში — სიფილისტიკური და სირურგიუ-ლი ავათმეოფობისა; ბასუტავი — ბუ-ბიაობის ქალებს და უმწვილეების ავათ-მეოფობისა; ბასავეი — ძარღვების სისუს-ავათმეოფობისა.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს. ლისიტევი — შინაგან ავათმეოფობისა; კელდიში — სიფილის-ტიკური და სირურგიული ავათმეოფობი-სა; ბასუტავი — ბუბიაობის, ქალებს და უმწვილეების ავათმეოფობისა; ბასავეი — ძარღვების ავათმეოფობისა.

ზ ა რ ა ს კ ე ვ ს. მინკევიჩი — სირურ-გიული ავათმეოფობისა; ლისიტევი, მი-რამანოვი და დანიელ-ბუგავი — შინაგან ავათმეოფობისა; კელდიში — სიფილის-ტიკური და სირურგიული ავათმეოფობი-სა; ბასუტავი — ბუბიაობის, ქალებს და უმწვილეების ავათმეოფობისა; ბასავეი — ძარღვების სისუსტის ავათმეოფობისა.

შ ა ბ ა თ ს. ლისიტევი — შინაგან ავათ-მეოფობისა; კელდიში — სიფილისტიკუ-რი და სირურგიული ავათმეოფობისა; ბასუტავი — ბუბიაობის, ქალებს და უმწ-ვილეების ავათმეოფობისა; ბასავეი — ძარღ-ვის სისუსტის ავათმეოფობისა.



# განცხადებანი

ინგლისური ინგბერ შამანიის ღვინო! შავი უჭურჭლოთ 25 კაბ. (ჭურჭელით 40 კაბ.), დიდი ბოთლია, ინგლისის მაღაზიაში. (10—8)

მიუხედავად იმისა რომ ბაჟი მომატა, საქონელი გაიყიდება ისევე იმ ფასად, როგორც წინათ იყო: გონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინინგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ.; შშენიერი კაისაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძვირად კარგი ჩაი 2 მ. გირვანჯა უქაღალდოთ.

ინგლისური რეკლამები 4 მ.—40 მანეთამდინ და თოფები 20—200 მანეთამდინ. ინგლისის მაღაზიაში. საჯენტო ბანსის უნაგრების გასასწავლად, ჯონსის კლიტებისა, შოკოლადისა და ექსტრაქტისა კაკაო ფრანსის რომელიც დაიმსახურეს ზარეის მსოფლიო გამოფენაზედ ოქროს მედალი. გირვანჯა არომატიული ჩაისა ლამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. ვაჭრები მოიგებენ, თუ იყიდან ბლამათ ინგლისის მაღაზიაში. მოქალი კოსტიუმი 15 მ. ხველების გონგოები 60 კ. ერთი გირვანჯა. (100—97)

## ინგლისის მაღაზიაში

ანწრუნის გადღერებისა

(Maison de confiance)

შეადრეთ ხეივი ჩაი	ჩაის ყველგან
— 1 მ. 10 კაბ.	— 1 მ. 40 კაბ.
— 1 „ 20 „	— 1 „ 60 კაბ.
— 1 „ 40 „	— 1 „ 90 კაბ.
— 1 „ 60 „	— 2 „ 20 კაბ.
— 1 „ 80 „	— 2 „ 50 კაბ.
საუკეთესო 2 მანეთ.	— 3 მანეთ.
ჩაის წონა—უქაღალდოა, სხვაგან კი ქაღალდით.	(100—32)

ბრიტანოვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოანის-სიანთან (ოკრუფის სუდის ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა:

წითელი ფრანსი, ფასი 15 კ.  
ხატურა — — — 10 კ.

ჩაის მცოდნე ჰირმა და მსურველებს უნდა იუიროს ჩაი, ჰირველი მოკრეფილისა ინგლისის მაღაზიაში 1 მან. 20 კაბ. და 2 მან. და შეადაროს ჩაის 1 60 კაბ. და 3 მან. ყველგან, ქ. თბილისში და გაიგებთ რამდენათ უკეთესი ჩაია ინგლისის მაღაზიაში. ამის გარდა მაღაზია ამღვეს ჩაის წმინდა წონით უქაღალდოთ და უტყვიოთ. (100—27)

ხელმოწერა იმპერატორმა, 1881 წელსა აპრილის 24 დღესა, კეთილინება, რათა საქალბო პროგიმანზია, რომელიც უნდა გაიხსნას ქ. ზორში, მიენიჭოს სახელწოდება „პნატასიისა“ პატივ-საცემლად მათი იმპერატორებითი უმაღლესობის მიხედვით ნიშნულ-ლოზის-ძის და ოლლა თიოდორას ასულისა. პროგიმანზია გაიხსნება მისი იმპერატორებითი დილაშუღების სახელწოდების დღეს, 30 აგვისტოსა, დილის 12 1/2 საათზედ მირიანოვის სახლებში, სადაც ამ დროისათვის მოვიწვევთ მოწაფე-ქალთა, მათ შრობელთა და ყოველთა პირთა, რომელთათვისაც კი ძვირფასია დადგინება ზორში პირველის გამაგრებელი-სა დედათა სქესთა ზორის სწავლა-განათლებისა. პნატასიის ზორის პროგიმანზიაში ამ წელს გაიხსნება მოსამზადებელი და პირველი კლასი და მეორე კლასიც ხოლო იმ შემთხვევაში, უკეთეს ამ კლასში ოცამდინ შეგროვდებიან მოწაფენი. აგვისტოს უკანასკნელი დღეები 25 ვიდრე 30-მდე დანიშნულ არიან ქალების მადებისათვის პროგიმანზიაში, იმათ განწყობა-განაწილებისათვის კლასებით და განყოფილებათ და სწავლის ფასის შეტანისათვის, რაიცა საყოველთაოთ ეცნობების მშობლებს, რომელთაც განაცხადეს სურვილი თავიანთ ქალების პროგიმანზიაში მიცემისა. თხოვნები შესახებ ქალების მიღებისა მიეცემიან 1 ენკენისთვემდის სემინარიის დირექტორს. პროგიმანზიაში სწავლის ფასი დადგენილია შემდეგი: მოსამზადებელ კლასში 15 მან., I-ში 25 მან., II-ში 35 მან., III-ში 45 მან. და IV-ში 50 მან. წელიწადში. მს ფასი ყოველ ნახევარ წლისა წინ-და-წინ უნდა იქმნეს წარმოდგენილი: ერთი წლის პირველის ნახევრისა 15 აგვისტოდამ 1 ენკენისთვემდე და წლის მეორე ნახევრისა 1-დან 15 იანვრამდე. მუზიკისა და ფრანკიზული ენის სწავლებისათვის სხვა ფასი დაწესდება ამ საგნების მასწავლებლებთან დათანხმებით. პნატასიის პროგიმანზიაში იმ გვარივე საგნების შესწავლა იქმნება, რა გვართაც ქალაქის საქალბო პროგიმანზიაში და ამისათვის ზორის პროგიმანზიაში სრული სწავლის შემსრულებლებს შეეძლებათ თბილისის საქალბო გიმნაზიის მეხუთე კლასში შესვლა. ხოლო ღარიბ ქალთათვის, რომელნიც ისურვებენ პირველ დაწყებით მასწავლებლობას, განზრახულია, რომ გაიხსნას პროგიმანზიაში ორ წლიური სამასწავლო განყოფილება. პროგიმანზიაში ვალდებულ საგნებთა რიცხვს მიეწვევებიან: საღმრთო წერილი, რუსული, ქართული (ქართველთათვის) და სომხური (სომხთათვის) ენები, არითმეტიკა, გეომეტრია, ბუნების მეტყველება, გეოგრაფია, ისტორია, წერა, ხატვა, გიმნასტიკა, ტანცაობა და ხელსაქმობა. შორმატანიამოსისა პროგიმანზიის

თათვის—მის კის ფერი კაბა და შავი ფართუკი. სადღესასწაულოთ კი უნდა იქმნეს შავის მაგიერათ თეთრი ფართუკები. პროგიმანზიის შენახვის საშუალებას შეადგენენ:

ა) ძ. ზორის ყოველ წლიური შესაწევარი—1000 მან., ბ) ზორის კრებულიდან (კრუფიკიდან) დანიშნული—300 მან., გ) ზორის საქალბო ქველ-მოქმედ საზოგადოებისაგან აღთქმული—300 მან. და დ) უმთავრესად, ზემოაღნიშნულ გარდასახადი სწავლის ფული, ამისთვის მზრუნველობითი რჩევა პროგიმანზიისა უმორჩილესად სთხოვს მშობლებს, რათა მათ სწავლის ფული აუცილებლად ზემოაღნიშნულ ვადებზედ წარმოადგინონ ხოლო, რადგანაც შემოუტან ლობისათვის სწავლის ფასისა დანიშნულ ვადებზედ მათი შეიღები დათხრებულ იქმნებიან პროგიმანზიისაგან. შესაოთ მოსწავლენი ჯერ-ჯერობით არ მიიღებიან პროგიმანზიაში, ამისათვის ღარიბი მშობლები, რომელთაც სურთ მისცენ განათლება თავიანთ ქალებს, ვალდებულ არიან მოიპოვონ კეთილის მყოფნი, რომელთაც შეიტანონ იმათ ქალებთათვის მხვედრი სწავლების ფასი. ამასთანავე მზრუნველობითი რჩევა, გასაზრავლებლათ პროგიმანზიის ღარისძიებისა, იწვევს გულს-მოღვინე პირთ ძველასიაში განათლების გავრცელებისთვის, რათა იგინი ანუ ჩიეწინენ ზორის საქალბო ქველ-მოქმედ საზოგადოების წევრთ რიცხვში და ივალდებულთ ყოველ წლივ შეტანა ამ საზოგადოებაში თითო თუმნისა, ანუ ერთდროთ შემწეობა მისცენ პროგიმანზიისა გინა ფულათ, გინა სხვა და სხვა საჭირო მასალებით, მაგალითებრ, შემით, ნავით, სანთლით, ხელსაქმობის კუთვნილებით და სხვ.

ბანცხადებით ყოველ გვარ შემოწირულობაზედ ვთხოვთ მიმართონ მზრუნველობით რჩევის თანხმდობა მარეს ძველასიის აქეთა მხრის სამასწავლებლო სემინარიის დირექტორს დ. დ. სემიონოვს. (3—3)

## გალიომინია ტაერი

საუროდღესო გამოგონება განსაკუთრებით მანდილოსნებისათვის. მომგონი ჰეისრულობს, ყველას, რომელთაც სტატარ იგინან, სმის ვაკუუთიფით დასსწავლოს შედეგა შუშაზედ ფორტაგრაფიული სურათებისა, გრაფიურებისა და სხვა უამარატოთ. აგრეთვე გადაღება სხვადა-სხვა სურათებისა ქაღალდზედ, აბრე-შუშაზედ და სხვ. რიცხვით რამდენი ეგ-ზემპლიაიც იქნება საჭირო. დაჯსები აქ ცოტა სნით. სსტუმრო „ბრანდ ოტელი“ № 22; ვიღებ დილის 10—1 საათამდე. (2—2)

სამოსწავლებლო რჩევა ქუთაისის ქალაქის ზირველ დაწყებითა სსწავლებლისა ამით აცხადებს ქუთაისის

მცხოვრებთ, რომ ქვეყნის წინააღმდეგოდ ემსწავლებს ქვეყნის წინააღმდეგოდ წარდგენით მეტრის წიგნიდან გამოწერილობისა და—თუ ემსწავლის მშობელი ღარიბისა არიან, ქალაქის გამგეობის მოწოდებისა, უნდა მიეტყოს სასწავლებლის შედამსწავლებს ამ წლის 1-ს სექტემბრამდინ.—

თხოვნა მიიღება: 25-ს აგვისტომდინ ქალაქის გამგეობაში, ხოლო 25-ს აგვისტოდამ კი თავათ სასწავლებლის სადგომზე, რომელიც იმყოფება თ. ნიკოლოზ სიმონისძის წულებიძის სასწავლებში, სიღასე, მესხეთის ქუჩაზე.— (3—3)

## ლონდონის მაღაზია კომპერციული

ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაის-გასასყიდლათ ჰირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მანგალითურ: თოფებისა, რეკლამებისა, კლიტებისა, ჭურჭლებისა, გრაფიკებისა, დანებისა, ვაკუუმებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუბებისა, საშინისა, შოკოკებისა, ცხვირ-სახრცისა, ქაღალდისა, კანდაშებისა, კაღებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი გლეშინისი წეთისა) და სხვ. საჯენტო მანგისტომის მოსასწავლებლად გასასყიდლად კანფეტებისა და ბატონისა და გამშ. მურაბისა, აგრეთვე ხუჭებისა და წინდებისა ნოტინგამიდან. ნამდვილი ჭაგანს გაარკები. (100—15)

## ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებული

დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. იქვე იმდებია: ზარუსინა 40 კაბ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაბ—დამ; პანდოსები 5 კ.—დამ, ურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—10)

## ადვოკატი პეტრე ტროვიმისძე ბარლიმისძე

ამით აცხადებს, რომ ის იღებს თავის-თავზე სუღეში დაცვას და წარმოებას სამოქალაქო და სისხლის სამართლის სამამებისა.

შოველი მონდობილება მუთის გარეთ მცხოვრებლებიდან იქნება ასრულებული დაუყოვნებლივ.

მუღამი ბინა მექნება ქალაქ მუთისში, ბილახანის ქუჩაზე, ნიკოლაიშვილის სახლში. (5—4)

ქუთაში, მიხაილოვის ქუჩაზედ, სტრანოვების სახლებში, № 85 ახლად გაიმართა საჯარო კლასები და ზანსიონი ამზადებენ ყველა კლასებში საშუალ სასწავლებლებია. (2—2) გარტისკი და მონაშვილი.

## ახლად მიღებული

ინგლისის მაღაზიაში დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა. 30% უფრო უკეთესი ვიდრე საღმე სხვაგან. იქვე ისყიდება: პარუსინა არშ. 40 კა. სტაქნები და ბაკლები 10 კაბ., პანდოსები 5 კაბ. მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (25—19)